პოლიტიკური დისკურსის ანალიზი სამთავრობო საათის მაგალითზე: იდეოლოგიური და მეტაფორული რეპრეზენტაციები პოლიტიკოსების ენაში

ომარ გორდეზიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ დალაქიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტროს ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ომარ გორდეზიანი, 2019

აბსტრაქტი

პოლიტიკური დისკურსის ანალიზი (PDA) საკმაოდ აქტუალურსაკვლევ საკითხს წარმოადგენს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში. საკითხის შესახებ შემუშავებულია სხვადასხვა თეორია და მეთოდოლოგიური მიდგომები, რაც მის სიღრმისეულ შესწავლას ხდის შესაძლებელს.

წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური დისკურსის ანალიზის შესწავლას საქართველოს პარლამენტის სამთავრობო საათების მაგალითზე. ასევე კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას პოლიტიკოსების სასაუბრო ენა და მათი მეტაფორული და იდეოლოგიური რეპრეზენტაციები წარმოებული საკითხების მიმართ. ნაშრომში ასევე განხროციელდა სხვადასხვა თეორიისა და ლიტერატურის დახმარებით საკითხების კონცეპტუალიზაცია (მაგ: ვან დიჯიკი, მიშელ ფუკო, ნორმან ფერკლა, ირვინ გოფმანი და ა.შ.). კვლევაში განხილული არის სხვადასხვა კონცეპტი, რომელიც განსაზღვრავს დისკურსის პოლიტიკური და არაპოლიტიკური ველების შესწავლას, პოლიტიკოსებისათვის სხვადასხვა როლების მორგების პრინციპებსა და საპარლამენტო სივრცის გავლენებს არსებულ საკითხებთან დაკავშირებით.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, ნორმან ფერკლას კრიტიკული დისკურსის ანალიზის (CDA)დიზანით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პოლისიტიკოსების სასაუბრო ენაში იკვეთება იდეოლოგიური და მეტაფორული რეპრეზენტაციები, მათი დისკურსი არის ცვალებადი, რომელიც მონაცვლეობს პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ველებში. დისკურსული პრაქტიკების შესწავლამ აჩვენა, რომ საპრალამენტო სივრცეში ძალაუფლებრივი საკითხები არათანაბრად არის გადანაწილებული. სამთავრობო საათის მიმდინარეობის პროცესი არის საკმაოდ დაძაბული, პოლიტიკოსები უპირისპირდებიან ერთმანეთს დებატებში, სხვადასხვა ძალებით ცდილობენ დაწინაურდნენ, რაშიც აქტიურად იშველიებენ მეტაფორულ შეფასებებსა და როლურ გარდასახვებს.

საკვანძო სიტყვები: დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი, პარლამენტი, სამთავრობო საათი, იდეოლოგია, სასაუბრო ენა, პოლიტიკოსები, კრიტიკული დისკურსის ანალიზი.

Abstract

Political Discourse Analysis (PDA) is a very pressing issue in social and political sciences. Different theory and methodological approaches have been developed, which makes it possible to conduct an in-depth study research.

The present paper reviews the research, which aimes studying political discourse on the example of “governmental hours of parliament”. Another objective is to study the spoken language of politicians and their metaphorical and ideological representations of the issues raised.

The paper also includesthe conceptualization of issues of interest with the use of various theories and literature (e.g. Van Dijik, Michel Foucault, Norman Fairclought, Erving Goffman, etc.).The followingresearch coversthe different concepts which determine the study of political and non-political discourse domains, the principles of fitting different roles by politicians and the influences of parliamentary space on existing issues.

The research has been conducted according tothe qualitative methodology principles and usesNorman Fairclought's Critical Discourse Analysis (CDA) design.

The results of the study have shown the ideological and metaphorical representations in the spoken language ofpoliticians. The observance of their discourse has shown inconstancyandit changes in the political and non-political domains. The study of discourse practices has demonstrated that power issues in the parliamentary space are unevenly distributed. The process of government hours is quite tense, the politicians are opposing each otherin debates and try to succeed by using role conversion techniques.

Keywords: discourse, political discourse, parliament, government hour, ideology, spoken language, politicians, critical discourse analysis.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს მარიამ დალაქიშვილს გაწეული შრომისათვის. მისი კრიტიკული და ადეკვატური რჩევები მეხმარებოდა როგორც თეორიული ასევე მეთოდოლოგიური საკითხების შერჩევაში და დასახული მიზნის მიღწევაში.

ასევე მადლობას ვუხდი ჩემს კოლეგებს, რომლებიც მუშაობის პროცესში მიწევდნენ დახმარებასა და წინამდებარე კვლევასთან დაკავშირებით მაძლევდნენ რჩევებს.